ხუთი-ექვსი წლიდანვე პატარა ქალიშვილებს უჩიჩინებენ და აგონებენ, რომ იმათ უნდა ისწავლონ და იმუშაონ. როდესაც ქალიშვილი იმდენად მოიზრდება, რომ სხვის დაუხმარებლათ შეიძლებს იგი სკოლაში სიარულს, გაშინ გამა მოუჭრის ხოლმე იმას განსაკუთრებულ კვალს ბოსტანში, რომელიც დასათვესათ არის მომზადებული. ეს ბოსტნის ერთი კვალი მიწა არის საკუთრება ბავშვისა, რომელიც სიამოვნებით მუშაობს იქ დილით, ვიდრე სკოლაში წავიდოდეს და სკოლიდან დაბრუნების შემდეგაც. რო-

ცა ბოსტნეულობა გაიზრდება და შემოვა, მაშინ მამა ჰკრესტიანი მიაქვს ქალაქ ოდვილას გასაყიდათ. ოლებულ ფულს მამა უნახავს შეილს შემნახველ კასაში; ეს ფული შეადგენს თანხას განათლებისას, ესე იგი, როდესაც პატარა ქალიშვილი პირველ-დაწყებითი სასწავლებელს გაათვავს, ამ თანხით შეუძლია მას განაგრძოს განათლება, შევიდეს რომელიმე უნივერსიტეტში ანუ კოლეგიაში და გახდეს თავისი თავის ბატონი. ბალი ანუ ბოსტანი, რომელიც პატარა ქალიშვილის საკუთრებას შეადგენს ამერიკაში, იწოდება: „აღზრდის ბალათ“. თუ გლეხს ცოტა მიწა აქვს და არ შეუძლიან გაუმართოს თავის შეილს საკუთარი ბოსტანი, იმ შემთხვევაში ძროხას აძლევს საკუთრათ მას. პატარა ქალი ამ ძროხას უვლის, წველავს, ინახავს რძეს, ნაღებს, კარაქსა და ერბოს; მისდევს იგი დედას ბაზარში, ჰშველის მას გაყიდვაში და თავის წილათ აღებულ ფულს ინახავს ყულაბში. ძროხის გარდა ქალიშვილს აბარებენ რამდენსამე ქათამს, რომელთა კვერცხს ჰყიდიან და აღებულ ფულს უმატებენ განათლების თანხას. თანხა ყოველ წლივ იზრდება, ვიდრე ქალს არ დასჭირდება კოლეგიაში ჟესასვლელათ და საცხოვრებლათ.

მოხდება ხოლმე, რომ გარემოება ხელს არ უმართავს ამერიკელ გლეხს: ხან მოუსავლობა ავიწროებს, ხან საქონლის ჭირი აზარალებს და ან სხვა რამ მიზეზი უშლის ხელსა. ამის გამო რასაკვირველია, გლეხის შემოსავალი კლებულობს და აღარ შეუძლიან სწავლის თანხის გადადება თავის ქალიშვილისათვის. განა ამისთანა შემთხვევაში უსწავლელათ უნდა დარჩეს იმის ქალიშვილი? სრულიადაც არა. თუ გლეხს საღსარი არა იქვს იხადოს სწავლის ფული უმაღლეს სასწავლებელში, ამ შემთხვევაშიც შეიძლება მისცეს იმან ქალიშვილი კოლეგიაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ სასწავლებელში დაბინავებულმა იმისმა ქალიშვილმა, სწავლისაგან თავისუფალ დროს, სასწავლებელს უკეთოს სხვა და სხვა საშინაო საქმე და საკუთარი შრომით გადიხადოს ვალი სწავლისა.

ამერიკელი მწერალი ქალი ელისაბედ ბენჯამინ მოუგიტონბა, რომ სწორეთ ასეთი ჩვეულების წყალობით, რომელიც არსებობს ამერიკის უკელა კოლეგიებში, იმასაც ბედათ ხვდა უმაღლესი სწავლის მიღება.

„მე გავათავე სწავლა ჩვენი მაზრის სკოლაშიო, — ამბობს იგი, — იმ იმედით, რომ შემდეგ მიმცემდნენ უმაღლეს კოლეგიაში სწავლის მისაღებათ. ჩვენი არე-მარის ფერმერებთა ქალიშვილები ათი წლიდანვე უკელანი ვემზადებოდით კოლეგიაში შესასვლელათ, მაგრამ დახე უბედურებას! სწორეთ იმ წელიწადს, როდესაც უნდა შევსულიყავ კოლეგიაში, გაჩნდა რაღაც ჭია და ოთხრებდა ნათესობას მთა-ბარში და მამაქემსაც უქადა გაღატაკებას. გაფაციცებით ვადევნებდი თვალ-ყურს სასოფლო-სამრეწველო უურნალ-გაზეთებს და ვეძიებდი რამე წამალს იმ ოხერ ჭიების გასაულეტათ, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაწყე. დედ-მამამ გამომიცხადა, რომ იგინი ვეღარ გამგზავნიან კოლეგიაში უსაღს-რობისა გამო. მე კინალამ გავვიუდი ჯავრით, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მიხსნა. წავიკითხე ერთი კოლეგიის განცხადება, სადაც ის რას იცხადებდენ: ის ყმაწვილი ქილი, რომელსაც საშუალება არა აქვს სრულიად გადიხადოს სწავლისა და შენახვის ფული, კოლეგიაში მიიღება იმ პირობით, რომ საკუთარი შრომით და სხვა და სხვა საშინაო საქმის გაკეთებით გაუსწორდეს სასწავლებელს; ვინც ყოველ დღე საათს დროს შესწირავს ამ მუშაობას კოლეგიაში, იმას ხუთ თუმანს დაუკლებენ შენახვაშიო. მე შაშინვე მოვისაზრე, რომ თუ თოთ საათს დროს კოლეგიაში ყოველ დღე სკოლის საქმეებს მოვახმარებდი, დავიმსახურებდი დაახლოვებით ოც თუმანს. ამდენი ფული სრულიად საქმაო იქნებოდა ჩემი სწავლისა და შენახვისათვის და ჩემ მშობლებს აღარაფრის გადახდა არ დასკირდებოდათ. ეს მოსაზრება შევატყობინე ჩემ მშობლებს და იმათაც, რასაკვირველია, თანხმობა გამომიცხადესო.“

ამერიკის თითოეულ კოლეგიაში, როგორც ქალებისა, აგრეთვე ვაჟებისაში, უეჭველათ შეხვდებით იმისთანა მოსწავლე ქალე-


ბსა და ვაჟებს, რომლებიც თავიანთი გამრჯელობით იხდიან შენახვის ფულსა. ყმაწვილი ქალები, რომლებიც ამ პირობით არიან კოლეგიაში შესულნი, არავითარ მძიმე საქმეს არ აკეთებენ, მხოლოთ ხელს ახმარებენ სასკოლო საქმეებში, მაგალითათ, ალა-გებენ ოთახებს, შლიან სუფრას საღილ-ვასშმათ, რეცხვენ, ასუფთავებენ ჯამ-ჭურჭელს; აუთოვებენ აგრეთვე და აკერებენ საცვლებსა და სხვა. ხანდახან, რიგ-რიგით, ასრულებენ შეკარის თანამდებობასაც. ასეთი შრომა სრულებით ხელს არ უშლის იმათ ბეჯითობაში. მოსწავლე, მოიხდის თუ არა არდაგს, რომელიც ჭუჭყისაგან იფარავს იმის ტანისამოსს მუშაობის დროს, მიეშურება კოლეგიაში და გვერდით უჯდება იმ მდიდართა ქალი-შვილებს, რომლებიც არაფერს სამსახურს არ ეწეან კოლეგიაში. საზოგადოთ ყველა შრომას ამერიკაში ისეთი პატივით ეპყრობიან, რომ აზრათაც არავის მოუვა სათაკილოთ ჩასთვალოს მოახლისა, მესარეცხისა და მოსამსახურის საქმის გაკეთება. ყმაწვილი ქალი, გაათავებს თუ არა ოთახის დალაგებას, ჩაუჯდება ლათინური ენის თხზულებას, ან სწავლობს მუსიკას და ხშირად სწავლაში სჯობნის და ჩრდილავს იმ მდიდარ ამხანაგებს, რომლებსაც გაკვეთილების გარდა არავითარი საქმე არა აქვთ...

ყველა ამერიკელ ქალს თავი მოსწონს და იქაური საზოგადოებაც ღირსეულათ აფასებს, თუ მან თვით-მოქმედებით, საკუთარის შრომით, სხვის შეუწუხებლივ გაიკვლია გზა ცხოვრებისა და მიაღწია დამოუკიდებელ ბედნიერ მდგომარეობამდის. დამოუკიდებლათ გახდომა, თავისი თავის პატრონობა — აი რას ესწრაფის და რა ბედნიერებას ეტანება ყველა ამერიკელი ყმაწვილი ქალი და ვაჟი, და ეს ბედნიერი დამოუკიდებლობა მხოლოთ ცოდნითა და მედგარი შრომით შეიძინება.

სამსიან სააბაშიაული.



მოწყვალე ღიტო



“ରାଜ୍ୟର ଧ୍ୟାନପଦ ହେବା...”
ଶମତା.

საამოთ როკავდნენ, აქ კვიცები ნავარდობდნენ და სხვა. ყანები მომდევნები და მოისმოდა განუწყვეტილი მხიარული მუშარი და სოფლის, თითქმის შუაგულში, სკოლის წინ შეგროვილ ბავშვების ცელქი ერიამული მაღლა ცამდე ადიოდა. უფრო ბეჯითებს წიგნები გაეშალათ და გაკვეთილებს იმეორებდნენ, ზოგიერთებს კი, კითხვით თავ-მობეზრებულებს, წიგნები და ეკვიპაჲ, გაკვეთილი სალოკი თითით ჩანარიშნათ და ეგრე მიღი-მოდიოდნენ; სხვები კი, უმრავლესობა, მშვენიერი დღით გატაცებული პარტი რიკ-ტაფელასა და ბურთს აბზრიალებდნენ და იყო ერთი კიუინი და ხმაურობა.

გაკვეთილების დაწყებამდე კიდევ ნახვარი საათი-და იქნებოდა, რომ ბავშვებში გამოერია ერთი კარგათ მოდლევნებული, ყვავილით სახე-დაღრეჭილი და თვალებ-დამდგარი კაცი, რომელსაც გზის მაჩვენებლათ წინ რვა-ცხრა წლის ბიჭი მოუძღვოდა. ორივე სახე დაღვრემილები, ძველის-ძველ ძონძებში გახვეულები და გამხმარ, ძირ-გამოცვეთილ ქალამის ჯდანებში ფეხ-გაკრულნი მეტის-მეტ სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევდნენ ხოლმე ადამიანის გულში. საბრალო ბრძანს, მაისის სანეტარო დღე გამხიარულების ნაცვლათ უფრო გულს უწყლულებდა და მის, უმისოდაც დამეჭეჭებულ სახეს კიდევ უფრო გულის დამღონებელ ელფერსა სდებდა. მას არ შეეძლო დამტკბარიყო მით, რითაც ყველანი სტკებებოდნენ; მას არ შეეძლო ენახა ის, რასაც ყველანი პხედავდნენ გარდა მასავით უსინათლოებისა; მაისის გასხივოსნებული დღე მისთვის ბნელ-კუნაპეტათ იყო ქცეული! მის ერთად-ერთ ნუგეშს შეადგენდა რაღაც ჩანგურის მსგავსი საკრავი-ფანდური, რომელიც თანვე იღლიით დაპქონდა. ეს საკრავი მისთვის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი იყო, რომლითაც მას შეეძლო უმოწყალო კაცის გულის მოლმობიერება. და მართლაც ვის არ აუჩუყებდა გულს, ვის არ მოალბობდა მისი ნაღვლიანი ხმა, ამ საკრავის ხმაზე აყოლებული?.. მან აი ახლაც ჩამოჰკრა თავისი გაწაფული კითები ფანდურის ძაფებს და ზედ მოაყოლა შემდეგი:



„ულუკმა-პუროთ დავდივარ
ხელში ფანდურის ამარა,
სიბერემ წელში გამტეხა,
სიბრმავემ დამასამარა.

დღე ნათელი და მზიანი
ჩემთვის უკუნი-ბნელია!
ვინც ვერას ჰედავს ქვეყნათა,
მისოვის სიცოცხლე ძნელია.
მხოლოდ ერთი მაქვს იმედი,
ესასოებ მაღლა ზენასა;
გებრალებოდეთ ბედკრული
ბავშვებო, თქვენსა ლხენასა!“

„საყვედური ვთქვა ვისმეზე,
რა უფლება მაქვს, რა ძალა? —
სხვისთვის კეთილის მყოფელი,
ბუნება ჩემზე გამწყრალა!
სხვისი თვალებით დავდივარ
მე უთვისტომო, ეული,
კარის-კარ ვლითა მარად-უამს
ჯან-ღონე გამოლეული,
აწ რაც სიმწარე მადგია,
ვით ვათქმევინო ენასა?..
ბრმას, უსინათლოს მწყალობდეთ
ბავშვებო თქვენსა ლხენასა!“...

„ჩემი ნუგეშიც სიბრმავით
მე ვეღარ გამირჩევია,
მხოლოდ მის ასაკვნესებლად
თითები შემიჩვევია.
მე ის მიქარვებს ნაგუბარს

უწყალოდ შხამს და ნაღველსა,
თანაგრძნობასაც აღუძრავს
ჩემდამი ჩემსა მნახველსა.

მეც მით ვნუგეშობ, ვიმოკლებ
მისგან ხშირს ცრემლთა დენისა,
თქვენც შემიბრალეთ გეთაყვათ,
ბავშვებო თქვენსა ლხენასა“...

შეგირდებმა მყისვე თავი დაანებეს თამაშობას და მომლერად
ბრმას გარშემოესიენ. უმეტესობას სიბრალული ეხატებოდა სახე-
ზე და გაკვირვებით შეჰყურებდნენ ამ არა ჩვეულებრივ არსებას.
თითქმის ყველის ჰსურდა მიეცა რამ ამ საწყლისთვის, მარა თვი-
თონაც არრის მქონენა სხვას რალას გაუწილადებდნენ? მხოლოდ
ერთმა შეგირდმა ჩაიყო უბეში ხელი, იქიდან რალაც დაჭმუჭვნი-
ლი ქალალზის ნახევი ამოილო, გაშალა და შიგ დებული მოწიწე-
ბით მისცა ბრმის წინამძლოლ ბავშვს, რომელსაც ხელში ჯამი
ეჭირა, სადაც რამდენსამე კაპეიკიანსაც დაინახვდით. უსინათლომ
მოწყალე შეგირდი დალოცა და კმაყოფილი წავიდა.

გავიდა მცირე ხანი. პატარა ზარი დაარაწყუნეს და შეგირ-
დებმა მკვირცხლიად თავი მოიყარეს კლასში; ყველანი თავ-თავის
ალაგას დარიგდნენ და მასწავლებლის შემოსვლას უცდიდნენ. კარი
გაიღო, მასწავლებელი შემოვიდა, ლოცვისა და მისაღმების შემ-
დეგ საქმეს შეუდგნენ. მასწავლებლის სიტყვისამებრ შეგირდების
ერთმა რიგმა წიგნები გაშალა და მეორე რიგმა კი რვეულები,
სამელნები და კალმები დაიწყო წინ. მცირე ხანს იქით ამათ
წერა დაიწყეს, გარდა ერთის ბავშვისა, რომელსაც ხელში კალმის
ტარი დაეკავებინა და ჩუმათ, მასწავლებლის ნამალევათ, ამხანა-
გებს ანიშნებდა, კალამი ხომ არა გაქვთო. უარის ნიშნათ ამხანა-
გები თავის გაქნევით აძლევდნენ პასუხს. ყველა ამაებმა მასწავ-
ლებლის ყურადღება მიიპყრო.



— დიტო! შენ რად არა სწერ? შეეკითხა მასწავლებლებისგური
ერთ მათგანს. ბავშვი ფეხზე წამოდგა, დანაშაულების ნიშათ თა-
ვი ჩაღუნა და არას ამბობდა.

— რად არა სწერ მეთქი? კიდევ შეეკითხა მასწავლებელი,

— კალამი...

— რაო კალამი?

— კალამი არა მაქვს.

— ეგ წინეთ უნდა გცოლნოდა ლა მომზადებულიყავ; ხომ იცოდი, რომ დღეს წერა გვექნებოდა?

— კი ვიცოდი, და კიდევ მოვემზადე...

— და მერე სადა სჩანს ეგ მომზალება? ლმობიერი კითხვით
უთხრა მასწავლებელმა, რომელიც, ეტყობოდა, დაინტერესდა
ამ გარემოების შეტყობით.

-- ფული წამოვიდე — ერთი კაპეიკი — კალმის საყიდლათ და...

- ଲାଗ୍ନିକାର୍ଗା ତଣ୍ଡ?

არა, არ დამკარგვია! მათხოვარს ვაჩუქე, შემებრალა...

უკანასკნელი სიტყვების ღროს ბავშვმა ერთი კი შექცედა
მასწავლებელს და იმ წამსვე თითქო დიდი დანაშაულობა ჩაედი-
ნოსო, გაწითლდა და თავი ჩაღუნა; მარა მასწავლებლის ალექ-
სიანშა სიტყვებმა მაღლე წაათამაშეს აგი.

- მათხოვარს აჩუქე? კეთილი! ეგ კაი საქმეა! მარა შენ რომ
უდალმოთ რჩებოდი, ეგ კი როგორია?

მე მეგონა — ჩვენი მედუქნე ხვალამდის ერთ კალამს ნისი-
ათაც მომცემდა, თუ არა და ამხანაგებში მაინც ვიშოვნიდი.

— კეთილია ბავშვი! ალექსიანი ღიმილით უთხრა მასწავლებელმა და თან თავზე ხელი გადაუსვა: მოიცა და მე გასესხებ ერთ კალამს. ამ სიტყვით იგი შევიდა თავის ოთახში და ერთი პატარა კოლოფთი, კალმებით სავსე, გამოიტანა დიტოს საჩუქრათ, მისცა და თან ზემო-მოყვანილი დიდებული შოთას სიტყვები დააყო-

ლა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო“. პატიჟიანი მომავალ დიტოს თვალებში სიხარულის ცრემლებმა გაუთამაშა, მორცხვათ მოჰყიდა ხელი კალმებიან კოლოფს. მთელი ეს გარემოება, მასწავლებლისგან ნათქვამ უკვდავი შოთას სიტყვებითურთ, ამო-უშლელად ჩაიბეჭდა მის მეხსიერებაში.

დ. თომაშვილი.






ତୀରଶିଳ୍ପୀ ଫୁଲକୁମା

(ଶ୍ରୀକୃତ୍ତବ୍ୟାପୋଦ୍ଧର୍ମ)*)

v



ილატრ-დე-როზეს და მასთან მარკიზ
დე-არლანდის სახელი უკვდავი გახდა
ჰაერონავტიკის ისტორიაში. ამათ გას-
წირეს თავი, გაიკვლიეს გზა. პირველად
ამათ იცურავეს ჰაერის ზეირთებში,
მაგრამ რას! გრძნობდა ეს ორი კაცი
ჰაერში ფრენის დროს, ამისი არა ვი-
ცით-რა. მხოლოდ მარკიზ დე-არლან-
დიმ დასტოვა წერილი, საიდანაც სჩანს,
რომ მთელი მათი ყურადღება პირველ-
ში მიქცეული იყო იმაზე, რომ ცეცხლი მაყალში არ გამქრალიყო,
რისთვისაც მალ-მალ უმაჯვებდნენ მატყლს და ჩალას. შემდეგ კი
იმის ზრუნვაში იყვნენ, მოსახერხებელი ადგილი აერჩიათ ძირს
ჩამოსაშვებათ, ისიც კი უნდა ვთქვათ რომ მაინცა-და-მაინც არც
ისე ძრიელ მაღლა ასულიან ჰაერში, რომ დიდებული რამ სურაოთ
ენახათ...

რაკი შესაძლო აღმოჩნდა აღამიანის ჰაერში ფრენა, პროფე-
სორმა შარლმა უფრო მეტნიერულ ნიადაგზე დააყენა ეს საქმე.
შარლს არ მოაწონდა ის გარემოება, რომ მონგოლფების გამო-

*) ob. „*ХХХХЛХ*“ № IV.

კონილი წესით, ჰაერში ფრენის დროს ჰაერონავტი (კაცი) სულ მარტინ გაუქრობელი პქონოდა. ხრუნვაში უნდა ყოფილიყო, რომ მაყალი გაუქრობელი პქონოდა. სხვა არა იყოს რა საშიშია — ჩაღლის აპრიალების დროს შეიძლება თითონ ჰაეროსტატს მოეკიდოს და მაშინ ხომ ყოვლად უმწეო კაცი თავდაყირა წამოვა, მიწას დაენარცხებაო, ამიტომ პროფესორმა შარლმა საუკეთესოთ სკრო ჰაეროსტატის წყალ-მბადით გავსება და პირველად თითონვე სკრო.

1783 წელს 1 დეკემბერს პროფესორმა შარლემ მოამზადა საგანგებოთ „შარი“ (ჰაეროსტატი), გაავსო წყალმბადით (ჰაერ-გვარი გაზია, რომელიც 14-ჯერ უფრო მსუბუქია ჰაერზე), ჩაისვა შიგ ერთი ძმა რობერი და ჰაერში აფრინდა. მოგზაურნი სამასი საუკის სიმაღლეზე ავიდნენ, საათი და ერთი ჩარექი იფრინეს და



შარლეს გამოგონილი ჰაეროსტატი.

პარიზიდან ვჩ ვერსის მანძილზე კესლეში ჩამოვიდნენ. მიწაზე რომ დაქშენენ შარლემ თავის თანამგზავრი გადმოსვა; თითონ კი გულმა ვეღარ მოუთმინა და ისევ ჰაერში ავარდა. შემსუბუქებულმა ჰაეროსტატმა ისეთი საშინელის სისწრაფით აიტაცა შარლე, რომ ნახევარ საათის განმავლობაში ოთხი ვერსის სიმაღლეს უწია. ათე წამის განმავლობაში ბარომეტრი ოთხ გრადუს სიცივეს აჩვე-

ნებდა. ნახევარ საათის ფრენის შემდეგ შარლე არხეინაზ და შევერ, დობიანათ დაეშვა მიწაზე, ოთხი ვერსის მოშორებით იმ ადგილი-დან საიდანაც მეორეთ მარტო აფრინდა.

„მე არ შემიძლიან გამოვთქვა ჩემი აღტაცება,— სწერდა შემ-დეგში შარლე თავის პირველ ფრენის შესახებ,— არავითარ ყალაში არ შეუძლიან დახატოს და ვერავითარ ოცნებას ვერ შეუძლიან წარმოიდგინოს, ის ყოვლად ძლიერი მომხიბლავი სურათი, რომელიც მე წარმომიდგა. ჩემს ქვეშ მეცლებოდა ხალხის ზღვა, უფსკრულში მიდიოდა დედამიწა, ხოლო ზესკნელისკენ მიმავალი მივცურავდი ლაქვარდ სივრცეში და ვაპობდი ღრუბლებთა გუნდს. პაერის ზეირთებში შეხვეული ანგელოზათ ვგრძნობდი ჩემ თავს; მეტის-მეტი სიამოვნება სულს მიხუთავდა, ძლიერი სურათის სიდიადით ერთ ხანათ შტერი გავხდი... გონს რომ მოვედი ბარომეტრი და-ვათვალიერე და ჩემი პირველი ზრუნვა ის იყო, რომ მიწის შვილს ისევ მიწა მომენახა. ჩემი „შარი“ მოსახერხებელ ადგილისაკენ მივუ-მარჯვე და მშვიდობიანათ ჩამოვეშვი“.

შარლეს პაერში ფრენის ამბავი მთელ საფრანგეთს ელვასაებ მოედო. ხალხი მეტის-მეტი სიამოვნებით აღელვებული შარლეს ყველგან გზას უღობავდა, აღტაცებულის ვაშა-ვაშათი ეგებებოდა, ცისა და პაერის ამბავს ეკითხებოდა. მეფემ მოწყალება მიიღო და იყითხა შარლეს კარგა მყოფობა. სამეცნიერო აკადემიამ დაადგინა შარლეს სურათის (ქანდაკება) მონგოლთების სურათის გვერდზე დადგმა, მაგრამ თავ-მდაბალმა მეცნიერმა ცივი უარი განაცხადა ამ გვარ პატივის ცემაზე.— „მართალია პაეროსტატი ჩემის შრომით გაუკეთესდა, — ამბობდა შარლე მოკრძალებით, — მაგრამ რაც უნდა იყოს პირველი პატივი და დიდება ამ საქმეში ეკუთვნით ანონესის მექარნეთ ძმათა მონგოლთებთა, რადგან პირველად მათ გამოი-გონეს პაეროსტატი და აღმოაჩინეს საშუალება პაერის დამორ-ჩილებისათვისო.

მეცნიერის ამ გვარმა თავმდაბლობამ და კრძალულებამ ხდებოდა უფრო აღტაცებაში მოიყვანა, ყველან და ყველასაგან შარლეს სახელი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებოდა. მეცნიერები ერთმანეთს ეცილებოდნენ შარლესთან მეგობრობაში, მგონენები ქებათა-ქების ლექსებს უძღვნიდნენ, ყველას კი თავი მოსწონდა იმით, რომ მათმა მამულისშვილმა საფრანგეთი კვლავ ასახელა.

შარლეს ჰაერში მოგზაურობის შემდეგ არამც თუ საფრანგეთში, მთელ განათლებულ ქვეყნებშიც, ეისაც კი გაბედულობა, უნარი და შეძლება ჰქონდა ყველანი ჰაერში ფრენის სურვილმა გაიტაცა. ევროპის და ამერიკის მეცნიერები ძიება-კვლევას შეუდგნენ; ამ მეცნიერთა დაბრძენებული ჰკუა-გონება სხვა მხრივ სჯიდა, და თუმცა დიდს იმედებს არ აძლევდა ხალხს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „ცდა ბედის მონახევრეაო“. მეტის-მეტათ სახარბიელოა და სასურველიც ჩვენ ყველასათვის ჰაერის დამორჩილება და ამიტომაც ბევრი მეცნიერი და გაბედული კაცი გაიტაცა ამ სურვილმა.

ჭარბობაზე შორის ორი დასი გაჩნდა: „მონგოლფერები“ და „შარლერები“. პირველი დასი მომხრე იყო ძმათა მონგოლუებისა და მათი გამოგონილი „შარი“ საუკეთესოთ მიაჩნდათ; შეორე დასი პროფესორ შარლეს მიემხრო და მის მიერ გაუმჯობესებულ „შარს“ დიდ უპირატესობას აძლევდა.

მართლაც და თუ მონგოლფერები პატივსაცემნი არიან იმითი, რომ მათ პირველათ გამოიგონეს ჰაეროსტატი, პროფესორი შარლე კიდევ იმითია უფრო გამოჩენილი ჰაერონავტიკის საქმეში, რომ შარლმა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ჰაერონავტიკა და დღესაც კი შარლეს გამოგონილი წესით მოგზაურობენ ჰაერში. ამიტომაც ჰაერონავტიკის დასაწყისს იმ დღიდან სთვლიან, რა დღესაც შარლე ჰაერში ავიდა თავის მიერ გამოგონილი ჰაეროსტატით.

პროფესორმა შარლემ ჯერ თითონ ჰაეროსტატს წესიერი გეომეტრიული ფორმა მისცა; მასალათ იხმარა (ბურთისთვის)



აბრეშუმის ქსოვილი მერდინი, რომელიც სიმტკიცისათვის განასხულია და ამისა მეტი სიმაგრისათვის, ბურთს ზემოდან მსხვილი კანაფით ნაქსოვი ბადე ჩამოაცა და ამ ბადეს მოუბა ნავი, რომელშიაც ჰაერონავტი (კაცი ჰაერში მოგზაური) ჩაჯდება ხოლმე. შარლემ კიდევ ბევრ ნაირათ გააუმჯობესა თავის ჰაეროსტატი და უშიშარი გახდა ჰაერში ფრენა. რადგან თავის ჰაეროტისატს წყალ მბადით ავსებდა და წყალმბადი კი 14-ჯერ მსუბუქია თვითონ ჰაერზე, ამიტომ ჰაეროსტატის გარსი დიდ სიდიდეს არ თხოულობდა. მონგოლფების ჰაეროსტატი კი, რომელიც დამწვარ მატყლის და ჩალის ბოლით იქსებოდა, უეჭველათ დიდი უნდა ყოფილიყო და რამდენათაც მეტი გარსი ექნებოდა, იმდენათ უფრო მაღლა ავიდოდა და საიმედოც იყო. შარლემ ისიც საჭიროდ დაინახა, რომ ჰაეროსტატს სულ თავში (კამარაში) გაზის ასავალიც ჰქონოდა, მაგრამ იმ გვარათ მოწყობილი, რომ სარქველი მხოლოდ მაშინ ახდილიყო, როცა საჭიროება მოითხოვდა; ეს იმიტომ რომ ავსების დროს წყალმბადი თუ ჭარბათ მოუციდოდა სარქველს ასწევდა, მეტი გაზი გავიდოდა და ჰაეროსტატს ვეღარ გახეთქდა. შარლემ ერთი ხერხიც მოიგონა: ნავში ქვიშით სავსე ტოპრაკებს აწყობდა, რომ სამძიმო ტვირთათ ჰქონოდა ჰაეროსტატს. ამას აი რა მნიშვნელობა აქვს: თუ ვინიცობაა კაცი, ჰაერონავტი, უფრო ზევით და ზევით ასვლას მოისურვებს, რამდენათაც ტვირთს შეამსუბუქებს, იმდენათ, რასაკვირველია, უფრო ცაში აიტაცებს. ამ ხერხს ერთი სიკეთეც სჭირს, მაგალითად ჰაერში ფრენის დროს შემოგელია გაზი, ე. ი. წყალმბადი ჰაეროსტატის კედლებიდან ნელ-ნელა გაიპარა, რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ჰაეროსტატი თავს ვეღარ დაიკერს ჰაერში და ტყვიასავით წამოვა ქვევით და მიწაზე დაგანარცხებს. აი ამ დროს გამოცდილი ჰაერონავტი იმ ხერხს ხმარობს, რომ ქვიშის პარკებს გადმოყრის, შეამსუბუქებს იმდენათ, რომ ჰაეროსტატი მძიმე მძიმეთ დაეშვას მიწაზე. ან მაგალითათ გინდა ჩამოეშვა მიწაზე და ამ დროს ხედავ, რომ

ჩამოშვებით კი ჩამოხვალ, მაგრამ ზღვაში კი ჩავარდები, შემდეგ ტვირთის შემსუბუქება საშუალებას გაძლევს თუნდ მთელ ზღვას თავზე გადაუარო და სამშვიდობოზე ჩამოხვიდე. ყველა აქ ჩამო- თვლილ შარლეს მიერ გამოგონილი საშუალებით კაცი, ჰაერონა- ვტი, სტიქიონის, ჰაერის სათამაშო ბურთათ აღარ ხდება. გონიერი, გულ-მშვიდი და მტკიცე ხასიათის ჰაერონავტი შემთხვევის და მი- ხედვით ისე ჰმართავს ჰაეროსტატს, როგორც ზღვაში კარგი მა- შინისტი გემს, ყოველ შემთხვევისათვის, შარლეს ჰაეროსტა- ტს ახლა ღუზასაც უბამენ, რომ უფრო უშიშრათ ჩამოეშვან ხოლმე დედამიწაზე.


ამ გვარათ გამარჯვება „შარლერებს“^(*) დარჩათ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. 4000—5000 ჯერ ასულან ჰაერში, ამათში 30 კაცს უბედურება შეემთხვა—ცნობის მოყვარეობის მსხვერპლი გახდენ. „შარლერებით“ მოგზაურნი ათიოდე კაცი არც კი გაფუ- ჭქბულა, დანარჩენი ხალხი „მონგოლფერებმა“ იმსხვერპლა. მარ- თლათაც აბა წარმოიღვინეთ რამდენათ სახითათოა „მონგოლფე- რებით“ მოგზაურობა. ჰაეროსტატის ქვეშ ცეცხლი განუწყვეტლათ უნდა გენთოს და ჩალა-მატყლი უმარჯვო, ამ დროს ქარი დაუ- ბერავს, ჰაეროსტატს გააქან-გამოაქანებს, ცეცხლის აღი წაეკიდე- ბა თითონ „შარს“ და შენ კი ყირა-ყირა წამოხვალ. აი კიდევ რითი სჯობიან „შარლერები“, „მონგოლფერებს“^(*): წყალბადით გავსებული „შარი“ ძრიელ ადვილათ ადის ჰაერში თუნდ მისი დამუშავებით^(**) ერთი საფეხნიც იყოს, „მონგოლფერს“ კი თუ სამი


^(*) შარლეს გამოგონილ ჰაეროსტატს „შარლერებს“ უძახიან და მონგოლ- ფების გამოგონილს „მონგოლფერებს“.

^(**) აიღეთ თევზი, იპოვეთ მისი შუა გული და აქედან ნაპირებისაკენ სწორე ხაზი გაიტანეთ, ლარი გააბით. ლარი გაზომეთ და რამდენი გოჯიც გა- მოვა, სწორეთ ის იქნება თევზის დიამეტრი. ამ გვარათ დიამეტრი შეი- ძლება მხოლოდ მრგვალმა საგანმა იქონის.

„საუნი დიამეტრი არა აქვს ძნელათ თუ ჰაერში ფრენი დაწყობს,
,,მონგოლიურია“ 15 საუნის დიამეტრისა თუ არის აღვილათ აი-
ტაცებს, ჰაერში აიტანს 150 ფუთის ტეიროს, მაშინ როდესაც
ამავე სიღიღის „შარლერი“ 1200 ფუთს ზიღავს. მეცნიერთა შო-
რის კამათობა დიდი ხანია მოისპო და მათ ყველამ აღიარეს, რომ
კაცობრიობა ღიღათ დავალებულია პროფესორ შარლესაგან და
ჩვენც გვმართებს, მკითხველო, პატივისცემით მოვიხსენიოთ ხოლმე
შარლეს სახელი.

၁၃၁၂





ჰატარი მკითხველების წერილები:

ქ. განჯა.

საყვარელო რედაქცია!

მარტის ნომერში ჩვენ მოგვეწონა, „მოტი-გეჯის აჯანყება“, „ვანი და ჩიტი“, და „ფოფოს მასწავლებელი“. ვერაფერი ქალი ყოფილა თამარა ნიკო-ლაძე, რათ უნდა 18 ტიკინი; ინგლისელები ჰყვარებია, საწყალი ბურები კი არა. გთხოვთ ეს მოთხოვთა დაბეჭდოთ.

კატა და ტიკინი

(ნათარგმნი)

ერთ პატარა ქალს ჰქითხეს, ვინ უფრო გიყვარს, კატა თუ ტიკინიო? პატარა ქალმა ცოტა იფიქრა, მერე ჩურჩულით უპასუხა: კატა უფრო მიყვარს, მაგრამ ჩემ ტიკინს კი ნუ ეტყვით ამასო.

ქეთო ბაქრაძე (8 წლისა).

ქ. თფილისი.

საყვარელო რედაქცია!

წრეულს მე ვიჭერ ეგზამენს ზავედინიაში. მე ჩემმა მამამ მიმაბარა ერთ მასწავლებელს. მე მეტეშონა აპრილის ნომერში გულკეთილი გიგლო, და ქრის-



ტე აღდგა. ერთი წელიწადია რაც მე სოფელში არ ყოფილი იყო ჩემს მას უსახელს ჰყავს კატა, რომელსაც თამარა ნიკოლაძემ დაარქვა ღასკა. მე სოფელში მყავს შავი კატა რომელსაც ჰქონია მურკა, მე ძალიან მიყვარს მურკა და ვეთამაშები იმას.

მარია ლორთქიფანიძე (9 წლის).

ქ. თფილისი.

საყვარელო რედაქცია!

მე ვიყავ I ვაჟების გიმნაზიაში „გიმნასტიკის დილაზე“. იქ მშენებულ ვარჯიშობდნენ. ჩემს დას ჰყავს კატა, რომელსაც ორი კნუტი ეყოლა. 29 ივნისს მე-8 წლისა შევსრულდები. გთხოვთ გაუმჯდავნოთ თამარა ჭიჭიანძეს, რომ იმისი დის იადონი ჩვენმა შავმა კატამ შეჭამა. მე მაქვს პატარა საკერავის მაშინა, რომლითაც ჩემ დედოფლებს კაბებს ვუკერავ. მე „ჯეჯილში“ მომეწონა „გულკეთილი გიგლო“, იმიტომ რომ გიგლო გულკეთილი იყო, შეიძრალა პატარა შაქრო და დაეხმარა მას.

თამარა ნიკოლაძე (7 წლისა).

ქ. თფილისი.

საყვარელო და ძვირფასო რედაქცია!

მე წავიკითხე მარტის „ჯეჯილი“ და მომეწონა „მზრუნავი დედა“, „ვანო და ჩიტი“; იაკობ გოგებაშვილი ძალიან შემიყვარდა და მადლობას ვუძლები.

თქვენი მოსიყვარულე ალექსანდრე ჩემია (8 წლისა)

ქ. თფილისი.

ძვირფასო რედაქტორი!

მე წავიკითხე „ჯეჯილში“ ავრილის ნომერში ყველა მოთხრობები და ლექსები. მათში არც ერთი არ იყო დასაწუნარი, მაგრამ უფრო კი მომეწონა „ქრისტე აღდგა“, „ექვსი ამხანაგი“, სამასი თავდალებული გლეხი“ და „ტრანსვალის ომი“.

თქვენი მოსიყვარულე „ჯეჯილის“ მკითხველი მარიამ კვალიაშვილი (9 წ.).

ქ. ფოთი.

ჩვენო საყვარელო და დაუგიშყარო რედაქცია!

მე წავიკითხე „ჯეჯილში“, მარტის ნომერში მოთხოვბები და ლექსები, და მათში უფრო მომეწონა ლექსებში „გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე“ და პატარა მოთხოვბებში: „მზრუნავი დედა“ და „უფოსს მასწავლებელი„.

თქვენი მოსიყვარულე პატარა მკითხველი თამარა მგალობლიშვილი (8 წ.).

ქ. თფილისი.

საყვარელ „ჯეჯილის“ რედაქციას!

მე გადვიკითხე მარტის „ჯეჯილი“ და ძალიან მომეწონა შემდეგი მოთხოვბები: „ვანო და ჩიტი“, „უფოსს მასწავლებელი“ და „პატარა მეცნიერნი“. სიხარულით ვეგებები ყველა კარგ ნაწერებს და ძალიან მიყვარს მათი კითხვა.

„ჯეჯილის“ მკითხველი მარიამ გოგიაშვილი (12 წლისა)

დ. ყვირილა.

ძვირფას „ჯეჯილის“ რედაქციაში!

მე წავიკითხე მარტის ნომერში ყველა მოთხოვბები და ლექსები, ყველა ძლიერ მომეწონა. მაგრამ საუკეთესოთ კი მიმაჩნია „პატარა მეცნიერნი“ და „პატარში ფრენა“. მინდოდა რომ არ გამოლეულიყო.

თქვენი „ჯეჯილის“ მკითხველი აგაბო გუნიავა (12 წლის)

ქ. თფილისი.

ჩვენო ძვირფასო რედაქცია!

ქრისტე აღსდგა! ჩვენ ძალიან გვიყვარს კითხვა უშრნალ „ჯეჯილისა“, რაფან ამ უშრნალში დაწერილს ადვილათ გვებულობა. ამ წლის იანვრის ნომერში ჩვენ მოვეცემონა „ბედნიერი დღე“, „პატარა მეგაჩეთე“ და „სიყვარულს რა არ შეუძლიან“. თებერვლის ნომერში: „ქრუხების ბრძოლა ქორთან“, „მარო და მერცხალი“ და „პასკალის ოჯახი“. მარტის ნომერში: „მელო და ჯიბლიბო“, გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე“, ლექსი—„პატარას“ და „პატარა მეცნიერნი“.

თქვენი მოსიყვარულე ოლინკა (9 წლისა) და ვალიკო (8 წლისა) ინასარიძენი



ପ୍ର. ତତ୍ତ୍ଵବିଲ୍ଲୋଦ, ୨୩ ମାର୍ଚ୍ଚ ୧୯୦୦ ଫ.

დვირფასო რედაქტორი!

ଓର୍ବିଜନାମି
ଶବ୍ଦକ୍ଷରଣବିଧି

მე გადვიკითხე მარტის „ჯეჯილში“ და მომეწონა შემდეგი მოთხოვობები: „მოტი-გეჯის აჯანყება“, „ვანო და ჩიტი“. „პატარა მეცნიერნი“ და „მზრუნველი დედა“. მადლობას ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს, მ. დემურიას და ი. მ—ანს.

ლ. რაზიკაშვილი (12 წლისა)

6. ბახვი.

ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილის“ მესამე ნომერში ყველაფერი და უფრო მო-
მეტონა: „მზრუნველი დედა“, „მოტი-გეჯის აჯანყება“, ლექსი შ. მლევიძე-
ლისა და „პატარა შეციირნი“; დიდ მადლობას ვუძღვი იმათ, ვინც ესწი-
დასწერა. მაგრამ ყველაზე უფრო მომეტონა განსვენებული გიორგი წერეთლის
ბიოგრაფია და სურათი. რადგანაც ჩენს სამშობლოს მოღვაწეები არ აკლიათ,
გთხოვთ დაგვიხატოთ იმათი სურათები და დაგვიტეჭდოთ ხოლმე იმათი ბიო-
გრაფიები „ჯეჯილში“.

„ჯეჯილის“ მოსიყუარულე ბახვის მეოთხე განყოფილების მო-
სწავლე დავით ტუსკა (12 წლისა).





ა კ რ ო ს ტ ო ხ ო

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მწვანე ხავერდის სუფრა გაშალა,
ააფერადა ყვავილებითა;
ის მხიარული მასპინძელია,
სასიამოვნო წვეულებითა.
იმას თან ახლავს ფრინველთა დასი,
სიმღერა მორთეს ჩვეულებითა.
თვალი მოგვტაცა მისმა სიტურფეტ,
ვეამბორებით მოკრძალებითა!..
ერსა მიმადლა ძალი ღვთიური
ამ ტურფა ქვეყნის განახლებითა:

ა ნ დ ა ზ ე ბ ო

(წარმოდგენილი ვარლაამ ბუროძისაგან)

კაცმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არ გქონდეს მა-
რილიანი სიტყვა მაინც უთხარიო.



(ପ୍ରାରମ୍ଭଦୟରେ କ. ପୁରୁଣିନୀତିରେଣୁଳିବାଗାନ) ଶ୍ରୀକାନ୍ତିଲୋ
ଦାଲଲି ରାତ୍ରି ଜୁନ୍ଦା ଗାସିରୁତ୍ତିବା, ମାନ୍ଦି ପ୍ରେସା ଏହି ଫାନ୍ଦିଲୋବି.

ମେଲିବା କୁଣ୍ଡିଲେ ମନ୍ଦିରରେଣୁ କାତାମି ତଥାଲି ଗାମିଲିବାରାମ.

(ପ୍ରାରମ୍ଭଦୟରେ କ. ପୁରୁଣିନୀତିରେଣୁଳିବାଗାନ) ଶ୍ରୀକାନ୍ତିଲୋ
ଦରମା କାତାମି ଏହି କିମ୍ବାନୀ—ପ୍ରେସିଲିବା ବେଳିବାଲୋ କିମ୍ବାନୀ.

କାନ୍ତିଲୋ
(ପ୍ରାରମ୍ଭଦୟରେ କ. ପୁରୁଣିନୀତିରେଣୁଳିବାଗାନ)

ଲାମ-ଲାମିବିତ ମନ୍ଦିରିନିଦ୍ରାବି
ଦା ଦାଯଗରାଙ୍ଗ ମିଥିଆଖେର,
ଦିଲିତ ଓମ ପ୍ରାମି ଗାସିରିନିଦ୍ରାବି,
ରନ୍ଧାରିପୁ ଗାମିନିଦ୍ରାବି ମିଥିଆ.

(ପ୍ରାରମ୍ଭଦୟରେ ସନ୍ତ୍ରୀ. କାନ୍ତିଲୋ କ. ପୁରୁଣିନୀତିରେଣୁଳିବାଗାନ)
ଗ୍ରତି ରାମା ଶୁଣିଯେରି, ଶୁଣିଯେରିବା ଉପ୍ରେରି
ଚନ୍ଦ୍ରଗି ମିଶ୍ରଗାସ ମାନ୍ଦିବା ଦା ତେବେରିବାଲୋ ମିଶ୍ରଗାସ.

(ପ୍ରାରମ୍ଭଦୟରେ କ. ପୁରୁଣିନୀତିରେଣୁଳିବାଗାନ)
ବିଶ୍ଵାବି ଦା ବିଦାବିବି, ବାନ୍ଦିଲୁମିଲୁମ ବେତାବି.

କାନ୍ତିଲୋ

(ପ୍ରାରମ୍ଭଦୟରେ କ. ପୁରୁଣିନୀତିରେଣୁଳିବାଗାନ)

ଗ୍ରିଲୋ ଅଭିଲାଷ ମନ୍ଦିରାବିତ, ଦିକ୍ଷାବି, କା ଗାନ୍ଧିବିନିବିତ;
ମାତ୍ରା କି କାଲାଲିଦେ ମନୀତାନୀ ଦାଶିରୁରୁ ତେଲିଦେ ମିରିବା.
ନ୍ତ୍ରୀ ବାର ଗୁଲି ବିରାତି ଗଲାବାକେବର, ମେ ପ୍ରେରିଦେ ତାବୁ ଏହା ମାଜ୍ଵେ
ମେ ବିତାମାଶିବି ଏହି ଲୁହିଦେ ବେଲିଦେ କିରିବା.


სიტექნიკის გამოცანა

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო ს. ჭ. მოწაფ. იოს. ტატიშვილისაგან)

ქვემო მოყვანილ ციფრების მაგიერ ყველგან დასწერეთ ქართული ქორონიკონი და გამოვა ერთი ჩვენი ცნობილი მწერლის სახელი და გვარი: 6, 1, 90, 1, 500, 800, 1, 6, 5, 30, 1.

უჯრების ამოცანა

(წარმოდგენილი სათ. აზნაურო სკოლის მოწაფე ივ. ნასიძისაგან)



ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ისოები,
რომ გამოვიდეს რომელიმე ქართული
ანდაზა: თ, რ, ა, უ, შ, ა, ლ, ი, უ,
პ, ს, ა, ტ, ო, რ, ი, ნ, ყ, ა: ნ, შ, ე,
ი, ლ, ა, ს, ე, კ, ს, უ, ბ, ე, დ, ძ,
ტ, ს.



შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი სოლ. გომაძისაგან)

ორი ასო ორჯერ ხშირათ, ბავშვებო, დაგვიძახია,
სიტყვა შემდგარა, რომლითაც საჭმელი დაგვიძახია;
მეორეს ომში ხმარობდენ — ის ყველას დაგვიძახია,
მის მოტრფიალე მთიულსა აქამდის შეუნახია.
მთელი კი ცხენსა ამშვენებს — შობიდან მას ზედ ასხია,
ამის ვერ გამომცნობელი, დიახ რომ დასაძრახია.

ରେଡ୍‌ବ୍ୟସି



(ଫାରମନଙ୍ଗେନିଲୋ ସାତ.-ାଥ୍ବନ. କ୍ଷେତ୍ରିକ ମନ୍ତ୍ରାଳୟ ରାଜ୍ୟ ବିଭାଗରୁଙ୍କିରଣାରୁ)




ର୍ମ



୧୯



ର୍ମ



୧୯



№ IV „ჯეჯილისა“

აკროსტიხი: აპრილის თვე.

გამოცნების 1) ყალიბნის თუთუნი, 2) მდინარე, 3) ენა.

ՏԵՇՑԱԺՑԱ: ԸՆԸՆ-ԸՆԸՆ.

უკრების ამოცანა: პირველი:



მეორე:



ଶୁଣାଫା: ପ୍ରାଦାଳି.

რეზუსი: გავახაროთ ერთმანეთი დაჰკარით კვერცხი ცევიტათო, ერთმა სთქვას ქრისტი აოდგაო და შენ კი — ჭიშმარიტათო,

აკრთასტიხი, გამოცანები, ანაგრამა, უფრესის ამოცანები, რებუსი და
შერადა ახსნეს თფილის ში: სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლებმა:
ქაიხოსრო ჩოლაძეშვილმა, გ. გაბაშვილმა, არჩილ გულისაშვილმა,
ლ. დეკანოზიშვილმა, ლ. რაზიკაშვილმა, ლ. მეტრეველმა და ივ.
ნასიძემ. მასწავლებელ ქალთა საზოგ. სკოლის მოსწავლემ ირაკლი
ბაქრაძემ. საქალებო გიმნაზ. მოსწავლე ქალმა თამარა შატებე-
რაშვილმა, მიხეილ ტოროშველიძემ. განჯაში: გიმნაზ. მოსწავლემ
სერგეი გარგარეთელმა. ცხინვალში: ანნა ცერაძემ. ჭიათურაში:
თ. დეკანოზიძემ. ქუთაისში: გიმნაზიის მოწავემ ბეს. ჭიჭინაძემ.
ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლემ (ამას უჯრების
გამოცანა არ გამოუცენია) სიმონ ჩხაიძემ. ყვირილის ნორმალურ

ସାବିତ୍ରୀଵଲ୍ଲେଖଳୀର ମହିତ୍ରୀଵଲ୍ଲେଖଳାଦମା: ଏ. ଗୁଣିବାମ, ଡଲ. ପ୍ରଫେରିକ୍ୟୁଲ୍‌ମ୍ବନ. ହେବୋର୍ମ୍‌ମ୍ବନ, କାବ୍. ଏଲିଶେରିଦେମ, ଓ. ପ୍ରେରିତୀଶ୍ଵିଲମା ଲା ଡଲ. ହୋଲାଙ୍ଗେମ. ଅଜେତୀର ନାର କଲ. ସାବିତ୍ରୀ. ମହିତ୍ରୀଵଲ୍ଲେଖଳାଦମା: ଏ. ମାବାରାଙ୍ଗେମ, କେତ୍ର. ମାବାରାଙ୍ଗେମ, ନାରାଯାନ. କୁରିଦେମ ଲା ମାତ୍ର ମଧ୍ୟଲାଙ୍ଗେମ. ଚୁଗଦିଲୀର ସାମନଜ୍ଞାଲୀକା ଶାବିତ୍ରୀ. ମହିତ୍ରୀଜ୍ଞେମ ରିତୀକା ଏଲିବାମ. ନଥୁରଙ୍ଗେତମି: ନନନି ସାଲୁଜ୍ଵାନ୍ଦେମ. ବୋନମି: କଲାର୍ତ୍ତମା ଜାମମା. ଦାବ୍ଦିଲୀର କ୍ଷାମିଲୀର ମହିତ୍ରୀଜ୍ଞ. ସିମନ୍ କାନ୍ଦୁପ୍ରାଦେମ ଲା ଅକାକି ଅଶାତିଆନମା. ଉଚ୍ଚରେବୀର ଗାମନପାନୀର ଗାରଦା ଲେବା ଗାମନପାନେବୀ ଗାମନପରିବର୍ତ୍ତେବୀ: ଅକାନୀର ନାର କଲାସିଆନୀ କ୍ଷାମିଲୀର ମହିତ୍ରୀଜ୍ଞେମା ଓ. ଜାନ୍ମେଲିଙ୍ଗେମ, ରାଜ. ହୋରତୀଶ୍ଵିଲମା, ଲାଲ. ପ୍ରେରିତୀନ୍ଦେମ, କାର. ପ୍ରେରିତୀନ୍ଦେମ, ଓ. ତାଲାକ୍ଷାନ୍ଦେମ ଲା ନାନିକା ଶଲ୍ଲେନ୍ତମା.

“କବିଲୀର” ରା “ଜୀଜିଲୀର” ନାଦାଚତୋରି

ନ୍ୟୂନେବା ଶ୍ରେଷ୍ଠେବା ସାକ୍ଷତାରି ଗାମନପରିବର୍ତ୍ତେବୀ:

| | | | | |
|-------------------|-------------------|------|-------|----------------------------|
| ତାମାର ଭ୍ୟାନକାଳୀର | କ୍ଷରାତି | 1 ମ. | 50 ଟ. | (କାନ୍ଦୁପାନ୍ତି 50 ଟ.) |
| କଲାର୍ତ୍ତମାର | କ୍ଷରାତେବୀର | ପଦ. | 1 ମ. | 20 ଟ. (କାନ୍ଦୁପାନ୍ତି 20 ଟ.) |
| ଶାର୍ତ୍ତମାର | ଭାରତି | ପଦ. | | 30 ଟ. |
| କୁରିଦେମାର | କୁରିଦେମାର | ପଦ. | | 30 ଟ. |
| ନଥୁରଙ୍ଗେତମାର | ନଥୁରଙ୍ଗେତମାର | ପଦ. | | 15 ଟ. |
| କଲାର୍ତ୍ତମାର | କଲାର୍ତ୍ତମାର | ପଦ. | | 10 ଟ. |
| କାରି ମହିତ୍ରୀକାଳୀର | କାରି ମହିତ୍ରୀକାଳୀର | ପଦ. | | 10 ଟ. |

ନ୍ୟୂନେବା ଶ୍ରେଷ୍ଠେବା ସାକ୍ଷତାରି ଗାମନପରିବର୍ତ୍ତେବୀ.

საქართვის ნაციონალური უნივერსიტეტი

„კეპიტანი“

ფილიფალი მათერიალი

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგ-
რამით, როგორათაც აქვთდის.

ეუროპი „კეპიტანი“ მიღებულია თვითისის საქ-
არქით და გავასის თლქის სამოსწავლო რჩევებისაგან
სასწავლებლის სამგითხველოებში საკითხებათ.

ეუროპი „კეპიტანი“ თვითისში დატარებით დირს
4 მან. თვითისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნო-
მერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-
ვარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თვითისში — „წერა-გითხვის გამ. საზოგადოე-
ბის“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор.,
№ 101), და თვით „კეპიტანი“-ს რედაქციაში (Арти-
ллер. ул. № 5, возвлѣ Кадетского корпуса)

ფოტოს აღნესი: Въ Тифлисѣ, въ редакцію
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.